

პატიმრების შეწყადების წესში ცვლილებები შედის



საქართველოს პრეზიდენტის ახალი გადაწყვეტილების შესახებ დღეს შეწყადების კომისიის თავმჯდომარემ ზვიად ქორიძემ ისაუბრა. შესწორების თანახმად, შეწყადების წესი უფრო ჰუმანური გახდება, კერძოდ, ცვლილება შეეხება ნარკოტიკული და

სამოხელეო/ეკონომიკური დანაშაულებისთვის გასამართლებულ პირებს.

“შეწყადების კომისიამ სასჯელის ვადის კრიტერიუმების გარეშე უნდა განიხილოს იმ მსჯავრდებულთა თხოვნა, რომლებმაც ჩაიღინეს ნარკოტიკული დანაშაულებები, გარდა ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების გასაღებისა, ასევე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერებების შეძენა-შენახვისა და მათი შემოტანა-ტრანზიტისა. შეწყადების კომისიამ, ასევე არსებითად უნდა განიხილოს იმ პირთა შეწყადების თხოვნა, რომლებიც გასამართლებულები არიან 381-ე მუხლით და მათ სასჯელი დაეკისრათ ,,ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვარისწინებული შეზღუდვების დარღვევის საფუძველზე”, – თქვა ზვიად ქორიძემ.

ქორიძის განმარტებით, ასეთივე წესით კომისიამ უნდა განიხილოს იმ პირის თხოვნა შეწყადების თაობაზე, რომელმაც პირველად ჩაიღინა დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ.

“ეკონომიკური, ფინანსური და სამოხელეო ხასიათის დანაშაულები და არ ჩაუდენია ეს დანაშაულები ძაღადობით, ან ძაღადობის მუქარით. ამ დანაშაულებზე მსჯავრდებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ პრეზიდენტს, როგორც კი დასრულდება საქმის განხილვა სამივე

სასამართლო ინსტანციაში, ან გავა გემდგომ ინსტანციაში
გასაჩივრების ვადა, ხოლო კომისია არსებითად განიხილავს მათ
საქმეებს”, – განაცხადა გვიად ქორიძემ.